585/2
1989

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0203—2023

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

№ 5

1989

# უმაღლესი საბჭოს უწყებები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის
# უმაღლესი საბჭოს
# უწყებები

№ 5 (586) მაისი 1989 წელი

## შინაარსი

68. საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ.

69. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის თაობაზე.

70. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება ქ. სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

19223

საქ. სსრ კ. მარქსის
სახ. სახ. რესპ.
ბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 68 საქართველოს სსრ სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ

„სახელმწიფო დანაშაულისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ" სსრ კავშირის კანონსა და სსრ კავშირის ზოგიერთ სხვა საკანონმდებლო აქტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე" სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1989 წლის 8 აპრილის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

I. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10; 1982 წ., № 12, მუხ. 371; 1984 წ., № 3, მუხ. 65; 1988 წ., № 3, მუხ. 38) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 71-ე და 75-ე მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 71.** მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისა თუ შეცვლისათვის

საჯარო მოწოდება საბჭოთა სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესწყობილების დამხობისა თუ მისი შეცვლისათვის სსრ კავშირის კონსტიტუციის საწინააღმდეგო წესით ან საბჭოთა კანონების შესრულებისათვის წინააღმდეგობის გასაწევად იმ მიზნით, რომ ძირი გამოუთხარონ სსრ კავშირის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, აგრეთვე ასეთივე შინაარსის მასალების დამზადება გავრცელების მიზნით ან გავრცელება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება, ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ან მასობრივი ტირაჟირებისათვის განკუთვნილი თუ მომარჯვებული ტექნიკური საშუალებების გამოყენებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, ჩადენილი უცხოეთის ორგანიზაციებისა თუ მათი წარმომადგენლების დავალებით, ან აღნიშნული ორგანიზაციებისაგან მიღებულ მატერიალურ ფასეულობათა თუ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე".

„**მუხლი 75.** ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა

განზრახი მოქმედება ეროვნული ან რასობრივი მტრობისა თუ განხეთქილების ჩამოგდების, ეროვნული პატივისა და ღირსების დამცირების მიზნით, აგრეთვე მოქალაქეთა რასობრივი თუ ეროვნული კუთვნილების მიხედვით მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი უფლებების პირდაპირი ან არაპირდაპირი შეზღუდვა, ან მათთვის პირდაპირ ან არაპირდაპირ უპირატესობათა დაწესება —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე.

იგივე მოქმედება ძალადობის, მოტყუების თუ მუქარის გამოყენებით, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთ წლამდე ან ჯარიმით ხუთი ათას მანეთამდე.

ამ მუხლის პირველი ან მეორე ნაწილით გათვალისწინებული მოქმედება, რომელიც ჩაიდინა პირთა ჯგუფმა, ან რომელსაც მოჰყვა ადამიანთა დაღუპვა ან სხვა მძიმე შედეგები —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ათ წლამდე".

2. დაემატოს კოდექსს შემდეგი შინაარსის $71^1$ მუხლი:

**„მუხლი $71^1$.** მოწოდება სახელმწიფოს წინააღმდეგ დანაშაულის ჩადენისათვის

საჯარო მოწოდება სამშობლოს ღალატისათვის, ტერორისტული აქტის თუ დივერსიის ჩადენისათვის, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან ჯარიმით ორი ათას მანეთამდე".

3. $8^1$ მუხლის მეორე ნაწილს სიტყვების „განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაული (65-74-ე) მუხლები" შემდეგ დაემატოს სიტყვები „ეროვნული და რასობრივი თანასწორუფლებიანობის დარღვევა დამამძიმებელ გარემოებებში (75-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილები)".

4. ამოღებულ იქნეს $206^1$ მუხლი.

II. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11; 1986 წ., № 6, მუხ. 140; 1988 წ., № 3, მუხ. 38) შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. 32-ე მუხლიდან და 126-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს ციფრი „$206^1$".

2. 126-ე მუხლის მესამე ნაწილში ციფრები „65-71-ე" შეიცვალოს ციფრებით „$65\text{-}71^1$".

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ო. ჩერქეზია.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ვ. კვარაცხელია.

თბილისი, 1989 წლის 15 აპრილი.

№ 2134—XI

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება

## 69 „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის თაობაზე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ შემუშავებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკურ, საოლქო, საქალაქო და რაიონულ გაზეთებში სახალხო განხილვისათვის.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ „კოოპერატივების საშემოსავლო გადასახადის განაკვეთების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების პროექტის სახალხო განხილვისას შემოსული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით შეიტანოს პროექტში საჭირო შესწორებანი და დამატებანი და წარმოუდგინოს იგი საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს 1989 წლის 25 ივნისამდე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 22 მაისი.

**№ 2150—XI**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება

## 70 ქ. სოხუმის №359 კალინინის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ

ამხ. ო. გ. ზუხბაიას მიერ დეპუტატის უფლებამოსილების მოხსნის შესახებ პირად განცხადებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

„სსრ კავშირში სახალხო დეპუტატთა სტატუსის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის მე-10 მუხლის საფუძველზე ჩაითვალოს ვადამდე შეწყვეტილად ქ. სოხუმის № 359 კალინინის საარჩევნო ოლქისაგან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხ. ოთარ გიორგის ძე **ზუხბაიას** უფლებამოსილება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **Ო. ჩერქეზია.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ვ. ქვარაცხელია.**

თბილისი, 1989 წლის 22 მაისი.

**№ 2149—XI**